მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“

2023

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით
USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ქალთა ფონდ „სოხუმს“
და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას

სარჩევი

შესავალი 3
I. დემოგრაფიული მონაცემები 4
II. უსაფრთხოების არსი 5
III. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 9
დასკვნა 17
რეკომენდაციები..... 18

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სისტემატიზებულ მონაცემთა ანგარიშს. მასში ასახულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დამოკიდებულება აღნიშნულ რეგიონში ადამიანური უსაფრთხოების საკითხების მიმართ.

კვლევა ჩატარდა USAID-ის სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი, ქალთა ფონდი „სოხუმის“ პროექტის „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“ ფარგლებში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებების, მიდგომების შეფასება მათი ადამიანური უსაფრთხოების საკითხების მიმართ სხვადასხვა სფეროში: სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ფიზიკური და სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური უსაფრთხოების, უსაფრთხო გარემოს და სხვა საკითხებში და ამ კუთხით გენდერული საჭიროებების შეფასება.

კვლევის ძირითადი მიგნებები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თემებში მცხოვრები ქალი და ახალგაზრდა ლიდერების მიერ ადვოკატირების კამპანიებისთვის ადამიანური უსაფრთხოების სფეროში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდა 202 რესპონდენტი. ანკეტირებაში ჩაერთო 169 რესპონდენტი. ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ (თვისებრივი კვლევის მონაწილეთა ჯამური რაოდენობა - 33). სამიზნე ჯგუფები: სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის, სოციალური და დასაქმების სტატუსის ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები, სამოქალაქო ლიდერები; თვითმმართველობის წარმომადგენლები.

კვლევის გეოგრაფია: კვლევამ მოიცვა ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლები - კოკი, ხურჩა, დიდი ნეძი, ორსანტია.

კვლევის ჩატარების დრო - 2023 წლის თებერვალი-მარტი.

I. დემოგრაფიული მონაცემები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეთა მონაცემები სქესის მიხედვით მოცემულია ***დიაგრამაზე (N1):***



თვისებრივ კვლევაში ჩართული იყო 33 რესპონდენტი, მათ შორის 28 ქალი და 5 კაცი. კვლევამ მოიცვა საზოგადოების სხვადასხვა ასაკის, სოციალური და დასაქმების სტატუსის მოქალაქეები: ქალები, კაცები (როგორც დევნილები, ისევე ადგილობრივი მცხოვრებლები, ფოკუსით კონფლიქტის გამყოფი ხაზის სიახლოვეზე); ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, სკოლების და ბაღების პედაგოგები, თვითმმართველობის წარმომადგენლები და ა.შ.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტთა ასაკი მერყეობს 18-დან 72 წლამდე.

რაოდენობრივი კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული სურათი - ***დიაგრამა N2, N3:***





რაოდენობრივი კვლევის მასალებით, სოციალური სტატუსის მიხედვით კვლევის მონაწილე დევნილთა (სულ 51 ადამიანი) 35% წარმოადგენს დასაქმებულ კატეგორიას, 39% - უმუშევრებს, 6% - სტუდენტებს და 20% - პენსიონრებს.

კვლევის მონაწილე ადგილობრივ მცხოვრებთა (სულ 81 ადამიანი) 40% დასაქმებულია, უმუშევარია 37%. სტუდენტია 9% და პენსიონერია 15%.

ადგილობრივი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები 20 ადამიანიდან 6 დასაქმებულია, 11 უმუშევარი, 2 სტუდენტი და 1 პენსიონერი. დევნილი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები (17 მონაწილე) დასაქმებულია 6, უმუშევარია 11, 2 სტუდენტი და 1 პენსიონერი.

სქესის ნიშნის მიხედვით დასაქმებულია ქალების 37%, უმუშევარია 40%, სტუდენტია 9% და პენსიონერია 14%. კვლევაში მონაწილე კაცების 32% დასაქმებულია, 44% უმუშევარი, 9% სტუდენტი და 14% პენსიონერი.

II. უსაფრთხოების არსი

თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა განმარტეს, რას ნიშნავს მათთვის უსაფრთხოება, „როდესაც ადამიანი საზოგადოებაში ან თუნდაც ოჯახში თავს გრძნობს დაცულად და მას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, იმყოფება მშვიდად, კომფორტულად, არ აქვს რაიმეს შიში: ომის, ძალადობის, ჩაგვრის, მუქარის და ასე შემდეგ“; „თავს უსაფრთხოდ და დაცულად ვგრძნობ მაშინ, როცა ქვეყანაში არის სტაბილურობა, საზოგადოება არის ტოლერანტული, აქვს მიმღებლობა განსხვავებულის მიმართ“; „ჩემში უსაფრთხოების განცდას ხელს უშლის არაჯანსაღი, არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო ქვეყანაში“; „უსაფრთხოება ნიშნავს დაცულობას. როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. ის ყველა პირობაზე უკეთესი პირობაა იმისთვის, რომ იყო ძლიერი, შემდგარი“; „პირველ რიგში - შიშები არ უნდა არსებობდეს, შიში პანდემიების, შიში სამხედრო კონფლიქტის, შიში უსაფუძვლო დაჭერების, ერთმანეთთთან დაპირისპირების“; „ქვეყანა თუ დალაგებულია, უსაფრთხოების ხარისხიც მაღალია“.

გამოკვეთილად გაუსვეს ხაზი სამხედრო ესკალაციის შიშს აფხაზეთიდან დევნილმა რესპონდენტებმა. ახსენეს საომარი მოქმედებები უკრაინაში, რაც მათ უსაზღვრო წუხილს

და შფოთვას იწვევს. „რაც გადავიტანეთ აფხაზეთის ომის დროს, ის საშინელება არ უნდა განიცადოს მომავალმა თაობამ“. სხვა რესპონდენტებმაც გაუსვეს ხაზი ობიექტურად არსებულ რისკებს, რაც, მათი აზრით, დაკავშირებულია პოლიტიკურ ლანდშაფტთან.

> *„მაგალითად, ომი უკრაინაში, რაც მთელ ევროპას და მათ შორის ჩვენს რეგიონსაც უქმნის გარკვეულ პრობლემებს უსაფრთხოების კუთხით, ასევე ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს, რაც მძიმე ტკივილია და ამავე დროს, ძალიან საშიში მოვლენაა,“ - კ. კაკავა, ვიცე-მერი.*

> *„როცა საზოგადოებაში, ქვეყანაში თითოეული ადამიანის უფლებებზე იქნება ფიქრი, როცა პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა თითოეულ მოქალაქეს მისცემს რეალიზების საშუალებას, აი, მაშინ არის უსაფრთხო ცხოვრება. რა თქმა უნდა, ბევრი რამ უნდა გამოსწორდეს, განსაკუთრებით სოციალური კუთხით, დასაქმების კუთხით, თუმცა პროგრესი იგრძნობა,“ - ც ფ., ბაღის პედაგოგი, ქალი, 38 წ., დიდინეძი.*

კვლევის მონაწილეთა აზრით, დაცულობა და უსაფრთხოება ნიშნავს როგორც გარე ფაქტორების ნორმალიზებას, ისე ოჯახში მშვიდი, ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს საკუთარი უსაფრთხოების ხარისხი ხუთბალიანი სკალით. ***დიაგრამა N4:***

შეაფასეთ თქვენი უსაფრთხოების ხარისხი 1-დან 5-მდე სკალით



სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები უჩვენებს, რომ უფრო ხშირ შემთხვევებში ქალების და კაცების მიერ გაკეთებულ შეფასებებში დიდი განსხვავება არაა: მაგალითად, უმაღლესი 5 ქულით აფასებს ქალების 19% და კაცების 21%. ყველაზე დაბალი, 1 ქულით აფასებს საკუთარ უსაფრთხოებას ქალების 8% და კაცების 6%. 2 ქულით აფასებს ქალების 15% და კაცების 6%, 3 ქულით - ქალების 35% და მამაკაცების ასევე 35%, 4 ქულით ქალების 23% და კაცების 31%.

დასაქმების სტატუსის მიხედვით მიღებული მონაცემი უჩვენებს, რომ ეკონომიკური სტაბილურობა პირდაპირ უკავშირდება მეტი უსაფრთხოების განცდას. 5 ქულით აფასებს საკუთარ უსაფრთხოებას დასაქმებულების 36% და უმუშევრების 9%. აქვე გასათვალისწი-

ნებელია ფაქტი, რომ ამ კატეგორიაში გარკვეული წილი მოდის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანებზე, რომელთაც გააჩნიათ მყარი სახელმწიფო ბენეფიტები.

საინტერესოა შედარება, როგორ აფასებენ საკუთარი უსაფრთხოების ხარისხს დევნილი და ადგილობრივი მოქალაქეები: უმაღლესი 5 ქულით აფასებს დევნილთა 16% და ადგილობრივების 27%. მონაცემი შედარებით ნაკლებია კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები დევნილების (6%) და ადგილობრივების (11%) პასუხებში.
ასეთივე განსხვავებაა იმ ადამიანების რაოდენობაში, ვინც საკუთარ უსაფრთხოებას ყველაზე დაბალი 1 ქულით აფასებს: ეს არის დევნილების 2% და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები დევნილების 12%. ადგილობრივი მოსახლეობის 5% და კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივების 26%. მონაცემები მიუთითებს იმაზე, რამდენად მაღალია მოწყვლადობის ხარისხი იმ მოქალაქეებში, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტის გამყოფ ხაზთან ახლოს.
ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ყველაზე მაღალი დაცულობის ხარისხი (5 ქულით შეფასება) დაფიქსირდა 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდებში და პენსიონრებში - 23%.

კვლევის მონაწილეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება, გრძნობენ თუ არა თავს უსაფრთხოდ, კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებს მათში დაუცველობის განცდას:
დასახელდა დაძაბული სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი და სამოქალაქო დაპირისპირების მაღალი ხარისხი, რომლის მასშტაბებიც ყოველდღიურად იზრდება და უფრო და უფრო მტკივნეულ გამოვლინებებს აღწევს; დამსაქმებლების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება და ფსიქოლოგიური ტერორი; ახალგაზრდებში აგრესიის და ბულინგის საკმაოდ მძიმე შემთხვევები; არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების სიჭარბე; საზოგადოებრივი ფსიქოსოციალური კლიმატი, რომელზეც ნეგატიურ გავლენას ახდენს ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის შემთხვევები. დასახელდა საგზაო უსაფრთხოების წესების ტოტალური დარღვევა: რესპონდენტების ინფორმაციით, მასობრივი ხასიათი მიიღო არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვამ, რის გამოც ძალიან დაუცველად გრძნობენ თავს; საბანკო ვალდებულებები და მაღალი პროცენტები, რა მიზეზითაც ადამიანები მუდმივად დაძაბულობაში და სტრესში არიან.
საზოგადო სფეროს გარდა რესპონდენტები კონკრეტულად ასახელებდნენ უფრო პრივატულ, საოჯახო სფეროებს, სადაც ასევე არ გრძნობენ თავს დაცულად:

> ***„ჩემთვის უსაფრთხოება არის, როცა ოჯახში მშვიდობაა, ბავშვები დედ-მამასთან არიან მშვიდად და ბედნიერად. პატარები არ უნდა უყურებდნენ მშობლების ჩხუბს, არ უნდა ეშინოდეთ მამის. ნებისმიერი ქალი თავს უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს საკუთარ ქმართან. ქალისთვის ოჯახი უნდა იყოს თავშესაფარი და სიყვარულით მოცული, რაც, სამწუხაროდ, ხშირად არ ხდება. კამათი, კინკლაობა, უპატივცემლობა არ უნდა იყოს ოჯახში. როცა შიგნით, ოჯახში არ ხარ უსაფრთხოდ, ვერსად ვერ წარმოიდგენ შენს თავს დაცულად," - ძალადობის მსხვერპლი ქალი, კოკი.***

საგულისხმო იყო თვისებრივი კვლევის მონაწილე შშმ ბავშვების მშობლების დამოკიდებულება უსაფრთხოების საკითხების მიმართ.

„ჩემთვის, ძირითადად, უსაფრთხოება ჩემი შვილების, ოჯახის მშვიდ გარემოს უკავშირდება. როცა არ მეშინია არა მარტო, დავუშვათ, ქურდობის ან შიმშილის - არ მეშინია ჩემი შვილის საზოგადოებაში გაყვანის, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის არის, ვინმემ ან არ დასცინოს, ან რაღაც საცოდავად არ შეხედოს," - ლ. ნ., შშმ ბავშვის დედა, 41 წ., კოკი.

სხვა რესპონდენტი, რომელიც ასევე შშმ პირებისთვის უსაფრთხო გარემოზე საუბრობს, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის კუთხით ახალი შენობები აკმაყოფილებს სტანდარტებს ამ კატეგორიის მომსახურებისთვის, მაგრამ შშმ პირებს აქვთ სხვა უამრავი საჭიროებები, დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვასთან, საზოგადოების მხრიდან მიმღებლობასთან, თვითრეალიზაციასთან. მათ გულისტკივილს იწვევს ფაქტი, რომ შშმ პირები, პიროვნული უნარების მიუხედავად, იშვიათად არიან დასაქმებული.

„მიუხედავად ამდენი სატელევიზიო, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა, საზოგადოებაში მაინც ჭირს ასეთი ადამიანების მიღება. მათი დასაქმება მით უმეტეს. დააკვირდით აბა, რამდენი ადამიანი იცით, ვინც არის შშმ სტატუსის ადამიანი და სამსახურში დასაქმებულია? მე გეუბნებით ეტლით მოსარგებლე ადამიანებზე. დავუშვათ, რატომ არ შეიძლება ასეთი ადამიანი მუშაობდეს ოპერატორად ცხელ ხაზზე? ეს როგორც რიგითი ადამიანების, ასევე სახელმწიფოს ბრალიც არის", - ლ. ნ., შშმ პირის დედა, 41 წ., კოკი.

რესპონდენტთა აზრით, კიდევ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა დასაქმების და ადეკვატური ანაზღაურების პრობლემა. ისეთ პოზიციებზეც, რომლებიც დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, არის შეუსაბამო შრომის ანაზღაურება, დაბალი ხელფასები.

„ვფიქრობ, რომ ეს უსამართლობაა. ვფიქრობ, ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს ჩვენს ქვეყანაში და უფრო მეტად დაფასებულები იყვნენ ადამიანები თავიანთ პროფესიებში", - ე. შ., თემის ახალგაზრდა ლიდერი ქალი, 19 წ., კოკი.

რიგი რესპონდენტების მიერ გამოითქვა გულისტკივილი, რომ ზოგიერთ ოჯახში არ არის შესაბამისი დამოკიდებულება ხანდაზმული პირების მიმართ და ხშირად მათ არ აქვთ მშვიდი სიბერე.

„მე დიდ პრობლემად მიმაჩნია მაღალი ფასები, განსაკუთრებით - კვების პროდუქტებზე. უნდა მოხდეს რაღაც რეგულაციების შემოღება, თორემ ადამიანები გაუსაძლის ყოფაში არიან," - თ. ს., საბავშვო ბაღის გამგე, 32 წ., დიდი ნეძი.

რაოდენობრივ კვლევაში რესპონდენტებმა ასევე უპასუხეს კითხვას: „რა არის თქვენთვის უსაფრთხოება". პასუხების ყველაზე მეტი შემთხვევა იყო „ქვეყანაში ომის საფრთხის არარსებობა და სტაბილურობა/ომის არარსებობა და სტაბილურობა რეგიონში" - ჯამში 159 პასუხი (შემთხვევათა 94%); „ოჯახის კეთილდღეობა" - 118 პასუხი (შემთხვევათა 70%). გადაადგილების თავისუფლება (განათლების მისაღებად, ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, მკურნალობის მისაღებად და ა.შ.) - შემთხვევათა 36%; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება - შემთხვევათა 30%; კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი - შემთხვევათა 25%. მონაცემთა ჩაშლა სქესის და ასაკის მიხედვით არსებით განსხვავებას არ იძლევა.
საინტერესოა შედარება, როგორი დამოკიდებულებაა უსაფრთხოების ისეთი კომპონენტის მიმართ, როგორიცაა „კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი": ამ პასუხს ირჩევს 14% დევნილი, დევნილი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 53%; ადგილობრივი 20%, ადგილობრივი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 50%. მონა-

ცემებში სხვაობა უჩვენებს, რამდენად სენსიტიურია მზარდი კრიმინალის თემა გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე.
მსგავსი სიტუაციაა „გადაადგილების თავისუფლების“ დებულების, როგორც უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტის განხილვისას: მას, როგორც მნიშვნელოვანს უსაფრთხოებისთვის, ასახელებს დევნილი - 31%, დევნილი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 41%; ადგილობრივი - 35%; ადგილობრივი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 45%.
რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა პასუხი გასცეს კითხვას, „საიდან იღებთ ინფორმაციას იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში და მსოფლიოში“. პასუხები ასე გადანაწილდა: ინტერნეტ წყაროებიდან - 125 შემთხვევა (74,0%), ადგილობრივი ტელევიზიიდან - 113 შემთხვევა (66,9%); საერთაშორისო მედიასაშუალებებიდან - 61 შემთხვევა (36,1%); ნაცნობებისა და მეზობლების საშუალებით - 16,6%; ნათესავებისგან - 5,3%; რუსეთის ტელევიზიიდან - 2 შემთხვევა.

III. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა უპასუხეს კითხვას, რომელ საკითხებს მიიჩნევენ პრიორიტეტულად და აქტუალურად ***(ცხრილი N1):***

ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური		
ა) გზის მოწესრიგება	56	33%
ბ) სანიაღვრე არხების გაკეთება	43	25%
გ) საკანალიზაციო სისტემის გამართვა	24	14%
დ) სოფლის შიდა გზების მოწესრიგება	73	43%
ე) წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება	33	20%
ვ) ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება	72	43%
ზ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში	47	28%
თ) გარე განათებების გამართვა	36	21%
ი) ფეხით მოსიარულეთათვის ბორდიურების გაკეთება	24	14%
კ) საბავშვო ბაღებში არასათანადო პირობები/ბაღების არასაკმარისი რაოდენობა	16	9%
ლ) სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები	22	13%
მ) სკოლისგარეშე წრეები ბავშვებისთვის	18	11%
ნ) ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები	27	16%
	491	

მონაცემთა ჩაშლით გამოიკვეთა, რომ ქალებიც (შემთხვევათა 47%) და მამაკაცებიც (შემთხვევათა 45%) უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოფლის შიდა გზების მოწესრიგებას. ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება უფრო მნიშვნელოვანია მამაკაცებისთვის (შემთხვევათა 54%), ვიდრე ქალებისთვის (შემთხვევათა 39%).
ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები მნიშვნელოვნად მიაჩნია ქალებს - 20%, მამაკაცებს - 13%; სკოლისგარეშე წრეები ბავშვებისთვის: ქალებს - 14%, კაცებს - 7% (პასუხები - შემთხვევათა რაოდენობიდან). ასაკის და სტატუსის მიხედვით პასუხებიდან ყველაზე აღსანიშნავია დამოკიდებულება ბავშვის მოვლის სერვისებისადმი (დანარჩენი მაჩვენებლები ახლოსაა საშუალო მაჩვენებლებთან: დევნილი - 6%; დევნილი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 29%; ადგილობრივი - 16%, ადგილობრივი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 30% (პასუხი შემთხვევათა რაოდენობიდან).
თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა დაასახელეს, რას მიიჩნევენ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდ პრობლემად:
რესპონდენტების დიდი ნაწილი აფიქსირებს პოზიციას, რომ განსაკუთრებულ პრობლემად მიაჩნიათ ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან, რადგან ქვეყანას ესაჭიროება მათი ნიჭი და პოტენციალი. ისინი თვლიან, რომ კარგი იქნება, თუ განათლების მიღების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან სამშობლოს და ქვეყნის გაძლიერებას მოახმარენ თავიანთ ნიჭსა და შესაძლებლობას. ამ მიმართულებით აუცილებლად მიაჩნიათ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების დასაქმებას და ევროპული სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნას.
პრობლემებიდან ახალგაზრდები ყველაზე ხშირად ასახელებენ უმუშევრობას, მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილებას და „მაღალ პოლიტიკურ ტემპერატურას“. მიაჩნიათ, რომ საზოგადოებაში პოლარიზების საფრთხე აფერხებს ქვეყნის პროგრესს:

> *„ჩემი აზრით, ყველაზე აქტუალური პრობლემები, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, არის უმუშევრობა, პოლიტიკური პოლარიზაცია და ნარკომანია. ამ პრობლემას აქტუალურად ვთვლი იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური პოლარიზაცია აფერხებს ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესებს, ხლეჩს და თიშავს ერთმანეთისგან საზოგადოებას, რაც ხელს უშლის ქვეყნის წინსვლას. რაც შეეხება ნარკომანიას, ის ანადგურებს ჯანსაღ, ჯანმრთელ ახალგაზრდა თაობას,“ - ე. შ., თემის ახალგაზრდა ლიდერი ქალი, 19 წ., კოკი.*

სერიოზულ პრობლემად იქნა დასახელებული ავტოსაგზაო შემთხვევების სიხშირე, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ტრანსპორტი, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების ფიზიკურ უსაფრთხოებას.

> *„მართალია, მკაცრია კანონი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიმართ, მაგრამ ნაცნობობით და სხვადასხვა ხრიკებით მაინც იგვარებენ ასეთი ადამიანები საქმეს და ეს პრობლემა მოუგვარებელია,“ - კ. ბ., მძღოლი, კაცი, 57 წ., დიდი ნეძი.*

ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავდა ინფრასტრუქტურულ ნაწილში, მისი აზრით, ქაოსურ და უსისტემო მშენებლობებს ბოლო წლებში და მშენებლობაში უხარისხო მასალის გამოყენებას, რამაც, შეიძლება, შეუქმნას საფრთხე ადამიანების ფიზიკურ უსაფრთხოებას, მაგალითად მოიყვანა თურქეთის მოვლენები. სხვების აზრითაც, ამ საკითხებს არ ექცევა სათანადო ყურადღება, არ ხდება სათანადო კონტროლი, *„უნდა მოქმედებდეს მკაცრი რეგულაციები, მშენებლობის შემთხვევაში ხდებოდეს მონიტორინგი“.*

ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ყურადღება ექცევა გარე განათებების უზრუნველყოფას, მაგრამ არის თემები, სადაც ჯერჯერობით არ არის მოგვარებული. გამყოფი ხაზის სოფლებში ეს საკითხი უფრო მეტად აქტუალურია.

> *„ინფრასტრუქტურის კუთხით, სასურველია, მოწესრიგებული იყოს გარე განათება გზებზე, რაც უსაფრთხოს გახდის ღამით გადაადგილებას როგორც ქვეითებისთვის, ასევე ტრანსპორტისთვის, ასევე საჭიროა სათანადო სანიაღვრე მილები. წვიმიან ამინდში სანიაღვრე მილების არარსებობის გამო ქუჩებში გუბეები დგება და ფეხით გადადგილება რთულია," - ა. ბ., მერის წარმომადგენლის თანაშემწე, კოკი.*

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს ფაქტორები, რაც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნის ადამიანებისთვის სტაბილურობის და დაცულობის განცდას *(ცხრილი N2):*

ჩამოთვლილთაგან, რომელს მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის (გთხოვთ შემოხაზოთ 2 თქვენთვის პრიორიტეტული პასუხი)		მონაწ.	პასუხ.
ა) კრიმინალის ზრდა	114	67%	30%
ბ) გაუმართავი საგზაო მოძრაობა	31	18%	8%
გ) ალკოჰოლიზმი/ნარკომანია	78	46%	21%
დ) საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროება	44	26%	12%
ე) მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	25	15%	7%
ვ) საზოგადოებაში შეუწყნარებლობის/დისკრიმინაციის მაღალი დონე	45	27%	12%
ზ) პოლიტიკური პოლარიზაცია/განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა მიმართ შეუწყნარებლობის მაღალი ხარისხი	37	22%	10%
სულ	**374**		100%

განზოგადებულ პასუხებში ყველაზე ხშირად დასახელდა კრიმინალის გაზრდა. მონაცემთა სეგრეგაციით გამოჩნდა მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიის დამოკიდებულება. მათი აზრით, ძირითადი საფრთხეებისადმი: სქესის ნიშნით თითქმის არ არის განსხვავება ქალებისა და კაცების აღქმაში, ქალების 46% და კაცების 47% ასახელებს კრიმინალის ზრდას, როგორც ძირითად საფრთხეს. ალკოჰოლიზმი და ნარკომანია მიაჩნია უფრო დიდ საფრთხედ 18-30 წწ. კატეგორიას და 46-65 წწ. კატეგორიას (50%). იგივე საკითხი ორივე კატეგორიის დევნილების და ადგილობრივების კატეგორიაში 41%-დან 50%-მდე მერყეობს. პოლიტიკური პოლარიზაცია/განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა მიმართ შეუწყნარებლობის მაღალი ხარისხი აირჩია სტუდენტების 40%-მა.

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას, აქვთ თუ არა მათ შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა. ***დიაგრამა N5:***



მონაცემთა ჩაშლით, არსებითი განსხვავება პასუხებში არ დაფიქსირებულა. პასუხების უმეტესობა ყველგან ავლენდა, რომ რესპონდენტები უფრო ხშირად ირჩევდნენ პასუხს „კი“. შედარებით ნაკლებად - „ნაწილობრივ“.
რაც შეეხება ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას - ***დიაგრამა N6:***



ყველა ჩაშლილ მონაცემში უფრო მეტად ფიგურირებს პასუხი „ნაწილობრივ“. დევნილი და ადგილობრივი მოქალაქეების მონაცემთა შედარებით, დევნილებსა და კონფლიქტის გამ-ყოფ ხაზთან მცხოვრები დევნილების პასუხები არ არის დიდად განსხვავებული 62%, 59%. რაც შეეხება ადგილობრივებს და კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრებ ადგილობრი-ვებს, აქაც არ არის არსებითი განსხვავება 74%, 79%.

უსაფრთხოების ნაკლები გარანტიების არსებობა, მათ შორის განათლების უსაფრთხოების სფეროში, კვლევის მონაწილეების აზრით, ნიჰილიზმს იწვევს საზოგადოებაში. ადამიანები იკეტებიან საკუთარ ნაჭუჭში და მარტო რჩებიან საკუთარ პრობლემებთან.

ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი პრობლემა, რომელიც ადამიანის ფიზიკურ უსაფრთხო-ებას ემუქრება, კვლევის მონაწილეების აზრით, ოჯახში ძალადობაა.

თემა ფიგურირებდა როგორც ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებზე, ასევე სიღრმისეული ინტერ-ვიუების დროს და მას შეეხნენ ქალებიც და კაცებიც, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტმა მამაკაცებმა გამოავლინეს ხაზგასმული სოლიდარობა ძალადობის მსხვერპლების მიმართ.

„უჭირთ ოჯახში ძალადობაზე საუბარი, ვინაიდან, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ასეა, რომ მსხვერპლი ქალები ჭორაობის საგანი ხდებიან, განიკითხავენ და ზოგჯერ გარიყავენ კიდეც. საზოგადოებას არ აქვს მათ მიმართ შემწყნარებლობის განცდა. „ალბათ დაიმსახურა“ - ეს ფრაზაც კი შეიძლება მოისმინონ. ეს კი მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს... ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილში ისევ ის ცნობიერებაა, რომ ოჯახის საკითხების საჯაროდ განხილვა ოჯახის შერცხვენის ტოლფასია. ამიტომ ყველაზე დახურული თემა ოჯახური ძალადობაა,“ - კ. ბ., მძღოლი, კაცი, 57 წ., დიდი ნეძი.

„ზოგადად ძალადობის ფაქტები, თუკი სავალალო შედეგებით არ არის, დაფარული და გაუმჟღავნებელია, ვფიქრობ, მსხვერპლებს აქვთ უსამართლობის და დაუცველობის განცდა,“ - ლ. შ., პედაგოგი, კაცი, 28 წ., დიდი ნეძი.

„მე ჩემი სტატუსიდან [რესპონდენტი ძალადობის მსხვერპლია] გამომდინარე, ზუსტად ჩემი ოჯახიდან არ ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ. ქვეყანაშიც უფრო სხვა კანონი უნდა იყოს, მოძალადის წინააღმდეგ უნდა არსებობდეს გაცილებით მკაცრი კანონი, სხვამ რომ ვეღარ გაბედოს. სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ აქვს შესაბამისი კანონი, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების იმედად რჩებიან ადამიანები,“ - ძალადობის მსხვერპლი ქალი, 36 წ.

რესპონდენტების უმეტესობის აღქმით, თემა ძველებურად ტაბუდადებული უკვე არაა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახერხეს და ძალიან აქტუალური გახადეს ძალადობის შესახებ კამპანია. თავად ძალადობის მსხვერპლებიც ფიქრობენ, რომ შეხვედრები, ტრენინგები დაეხმარებათ ადამიანებს სწორად აზროვნებაში და სწორი ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაში.

„ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოხდება, მაგრამ ბევრჯერ რომ მოისმენ, რომ არ უნდა დასცინო და არ უნდა განიკითხო ძალადობის მსხვერპლი, არამედ გვერდით უნდა დაუდგე და დაეხმარო მას, მერე ალბათ შეაწუხებთ სინდისი,“ - ძალადობის მსხვერპლი ქალი, 34 წ.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა შეხედულება ძალადობის პრობლემის აქტუალურობაზე *(დიაგრამა N7):*



საინტერესოა, რომ ქალებიც და კაცებიც ერთნაირად (52%) მიიჩნევენ, რომ ძალადობის პრობლემა აქტუალურია. ოდნავი განსხვავებაა იმათ პასუხებში, ვინც თვლის, რომ აქტუალური არაა (ქალები - 10%, კაცები - 14%). სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სხვებთან შედარებით უფრო აქტუალურად მიაჩნია ძალადობის პრობლემა 46-65 წწ. კატეგორიას (57%). მათ შორის, ვისთვისაც პრობლემა აქტუალური არაა, ყველაზე მეტია +65 წ. კატეგორია (მათი 32%).

იკვეთება კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები რესპონდენტების შედარებით მოწყვლადობა სხვა სოციალურ კატეგორიასთან შედარებით: ადგილობრივი - 54%, ადგილობრივი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები 60%; დევნილი - 45%, დევნილი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 53%.

კვლევის მონაწილეთა მიერ დასახელებული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები ***დიაგრამა N8:***



ქალები კაცებთან შედარებით უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას უფრო ხშირად აქვს ადგილი: ქალები - 57%, კაცები - 48%. მცირედ, მაგრამ დევნილები ფიზიკურ ძალადობას ასახელებენ სხვაზე უფრო გამოკვეთილად (22%). სექსუალური ძალადობა ფიგურირებს მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში (169 რესპონდენტიდან დაასახელა 8 რესპონდენტმა, მათ შორის სამმა ქალმა და ხუთმა კაცმა).

ინფორმაცია ძალადობის სერვისების შესახებ ***დიაგრამა N9:***



საგულისხმოა, რომ სქესის ნიშნით ინფორმირებულობის კუთხით თითქმის არაა განსხვავება. ყველაზე ნაკლებად აქვთ სერვისებზე ინფორმაცია +65 წ. რესპონდენტებს.

რაც შეეხება გამყოფი ზოლის ფაქტორს ბენეფიციართა ინფორმირებულობის კუთხით, პასუხი „დიახ“ აირჩია 22%-მა დევნილმა, დევნილი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 47%; ადგილობრივი - 31%, ადგილობრივი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 45%.

მიღებული სურათით კონფლიქტის მიმდებარე ზოლთან მცხოვრები დევნილებიც და ადგილობრივებიც ყველა სხვა კატეგორიის ბენეფიციარზე მეტად არიან ინფორმირებულნი, რასაც ამყარებს თვისებრივი კვლევის რესპონდენტთ პოზიცია, რომ არასამთავრობო სექტორმა შეძლო ძალადობის თემის აქტუალიზაცია.

კვლევის მონაცემებით, ძალადობის სერვისებზე ინფორმაციის ძირითადი წყაროა ტელევიზია, რადიო - 21%; სოციალური ქსელი - 33%, შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან - 24%.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტებმა ისაუბრეს, როგორ გახადონ თემა უფრო აქტუალური:

> *„ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ფსიქოლოგის მომსახურების აქტუალიზაციაზე, ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში, ერთი და ორი ფსიქოლოგი ქალაქში, რომლებიც ჰყავს არასამთავრობო ორგანიზაციას და ერთი შტატი ბაღების გაერთიანებას, პრობლემას ვერ აღმოფხვრის. როგორც მოძალადეს, ასევე ძალადობის მსხვერპლს, სჭირდება ფსიქოლოგის მომსახურება, მაგრამ არა ერთჯერადი და მოკლევადიანი, რაც ხშირად ხდება პრობლემის აღმოჩენის დროს, ფსიქოლოგთან საჭიროა ხშირი კომუნიკაცია და რჩევების მიღება ამა თუ იმ საკითხზე და თუ ეს ბაღის ასაკიდან დაიწყება, ნაკლები პრობლემა გვექნება. თუ მიზეზთან ბრძოლას დავიწყებთ, შედეგიც არ დააყოვნებს,“ - ე. კოდუა., საკრებულოს დეპუტატი, ახალაბასთუმანი.*

რესპონდენტებს, რიგ შემთხვევაში, ჰქონდათ საკუთარი ხედვები პრობლემის კომპლექსურობასა და გადაჭრის გზებზე.

> *„ყველაზე აქტუალურად უმუშევრობის პრობლემა მიმაჩნია, რომელიც თავისთავად, დომინოს პრინციპით, იწვევს ოჯახურ ძალადობას, ადამიანის უფლებათა დარღვევას. ამიტომ საჭიროა საზოგადოება, სახელმწიფო უფრო მეტად ორიენტირებული იყოს არა შედეგთან ბრძოლაზე, არამედ მოახდინოს პრობლემების ზუსტი და დროული იდენტიფიცირება და მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა,“ - დ. ყ., ბიბლიოთეკარი, ქალი, 58 წ., დიდი ნეძი.*

საუბარი შეეხო ძალადობის პრობლემის კავშირს ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პრობლემასთან: ერთ-ერთი რესპონდენტის გაცხადებით, პლანს და ალკოჰოლს უკვე სოფლის 90% მოიხმარს. *„ნარკოტიკი და ალკოჰოლი კიდევ უფრო აგიჟებს მოძალადეს და საერთოდ ეთიშება გონება“.*

> *„შეურაცხადები ხდებიან. დგანან სოფლის ცენტრში. მთელი ახალგაზრდები უყურებენ მათ და ასე ჰგონიათ, რომ დღეს ეს არის მოდაში. ამათაც, ერთი მხრივ, რა ქნან, დასაქმება არ არის. სამსახური რომ ჰქონოდათ, დაკავებული იქნებოდნენ და არ ეცლებოდათ ამისთვის,“ - ლ. ბ., სოციალურად დაუცველი, ქალი, 44 წ., კოკი.*

თვისებრივი კვლევის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საჭიროებათა შესწავლას პრობლემების მოსაგვარებლად. მოქალაქეები აცხადებენ, რომ მათ სმენიათ ადგილობრივი

ხელისუფლების მიერ თემში საჭიროებათა შეფასების თაობაზე, როცა იწვევენ თემის წარმომადგენლებს, წინასწარ ხდება გამოცხადება შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ. მათი ნაწილი აცხადებს, რომ ესწრებოდა შეხვედრებს. ნაწილს არ მიუღიათ მონაწილეობა მსგავს შეფასებაში. ***„კი ხდება ხოლმე, მაგრამ მე არ გავსულვარ ამ დროს სოფლის ცენტრში და არ მიმიღია მონაწილეობა. არ ვიცი რატომ, მაგრამ არ მიმიღია მონაწილეობა“.*** მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივ საჭიროებებზე პასუხის აუცილებლობას, ამ საკითხში სექტორთშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას შეეხო ზოგიერთი რესპონდენტი:

> ***„მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რაც ცენტრალურ დონეზე არ არის ასახული და შესაძლებლობა აქვს მუნიციპალიტეტს, საკუთარ პროგრამებსა თუ ქვეპროგრამებში აქვს ასახული. მათი საჭიროება ბევრია, ამიტომაც ზუგდიდში არასამთავრობო ორგანიზაციებიც თანამშრომლობენ აქტიურად მუნიციპალიტეტთან და ერთობლივად ხდება მათი პრობლემების მოგვარება. აღვნიშნავ, რომ მოწყვლადი ფენების საჭიროებების შესწავლა ხდება, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ბევრ სოციალურ პროექტს მოიცავს, რომლებიც საზოგადოებაში ცნობილია და ასეულობით ბენეფიციარის პრობლემა მოუგვარებია,“ - ე. კოდუა, საკრებულოს დეპუტატი, ახალაბასთუმანი.***

მოყვანილი იყო მაგალითები, როცა საჭიროებების ადვოკატირება ხდებოდა მაჟორიტარი დეპუტატის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვით და დასახელდა არაერთი მაგალითი, როცა მოხდა საკითხის მოგვარება. მიუხედავად ამისა, ნიჰილიზმი, ხელების ჩამოყრა, როცა პირველსავე ჯერზე არ გამოდის ადვოკატირება, იშვიათი არ არის.
თემის ლიდერმა ქალებმა დაადასტურეს, რომ ადვოკატირება არ არის მარტივი პროცესი და მას აქვს შესაბამისი ეტაპები, მეთოდოლოგია, სჭირდება შეუპოვრობა, მრავალი მეთოდის კომბინირება:

> ***„პირადი პრობლემის გადასაჭრელად ნაკლებად, ალბათ უფრო საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად მიმიმართავს, ხელმოწერებიც შემიგროვებია და შედეგიც მიმიღია. უბრალოდ საჭირო და აუცილებელია შრომა და შენი საქმის ბოლომდე მიყვანა... დიახ, ჩემს ნაბიჯს მოჰყვა რეაგირება, პირველ რიგში, მოხდა პრობლემის შესწავლა, შემდეგ უკვე დაიწყეს რეაგირება ამ პრობლემის გადასაჭრელად და დღეს უკვე საბოლოო ჯამში მოგვარებულია ეს პრობლემა,“ - ე. შ., თემის აქტივისტი ქალი, 19 წ., კოკი.***

სხვა მაგალითში, რომელიც ასევე კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს, ჩანს მოქალაქეების და მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის პოზიტიური პრაქტიკა:

> ***„პრობლემა ბევრია, ხდება ზოგჯერ მათი აღმოფხვრა ხელისუფლების და მოსახლეობის ერთობლივი მუშაობით. მაგალითად, სოფელს ემსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, თუმცა მოძრაობის გრაფიკი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აწყობდა. მერიის შესაბამის სამსახურებთან მერის წარმომადგენელმა წარადგინა ჩვენი შუამდგომლობა და საკითხი დადებითად გადაწყდა, მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ,“ - დ. ბ., პედაგოგი, 45 წ., დიდი ნეძი.***

მიგიმართავთ თუ არა სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად - მოცემულ კითხვაზე პასუხი რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმაც წარმოადგინეს. ადგილობრივ ხელისუფლებაზე მიმართვის პრაქტიკა აქვს

ქალების 35%-ს და კაცების 38%-ს. ნიჰილისტური განწყობას - „არ მჯერა, რომ შედეგს გამოიღებს“ ავლენს ქალების 22% და კაცების 26%. ყველაზე გამოკვეთილი ნიჰილისტური დამოკიდებულება ჰქონდათ +65 წლის რესპონდენტებს. დებულებას - „არ მჯერა, რომ შედეგს გამოიღებს“ - მათი 32% ირჩევს. ყველაზე ნაკლებად გამოავლინა ნიჰილიზმი დასაქმებულთა კატეგორიამ - 14%. ყველაზე ნაკლები მიმართვა ჰქონდათ სტუდენტებს. მათ 47%-ს არასდროს მიუმართავს საკითხების ადვოკატირებისთვის.

დასკვნა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ გამოავლინა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის არსებული გამოწვევები მათი ადამიანური უსაფრთხოების კუთხით და გამოკვეთა საკითხები, რომელთა მოგვარებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მოქალაქეების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მშვიდი, სტაბილური ყოველდღიურობისთვის და ყველასთვის თანაბრად კეთილგანწყობილი სოციალური გარემოსთვის.

გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტის მოქალაქეებისთვის საფრთხის და არასტაბილურობის განცდას აღრმავებს კონფლიქტის გამყოფ ხაზთან სიახლოვე, კონფლიქტის ესკალაციის შიში. ამ ტერიტორიაზე განსახლებული ადგილობრივი და დევნილი მოქალაქეების შეფასებით, აქ შედარებით უფრო მაღალია კრიმინოგენული ფონი, სოციალური კონფლიქტების და გაუცხოების საფრთხე. დაფიქსირდა რესპონდენტების დიდი ნაწილის წუხილი მუნიციპალიტეტში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის და განსხვავებული აზრის მიუღებლობის, ახალგაზრდებში აგრესიის მაღალი ხარისხის გამო.

კვლევაში ჩართული მოქალაქეები ერთხმად აღნიშნავენ სასიკეთო ცვლილებებს მუნიციპალიტეტში, მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა ხაზს უსვამს საკუთარ მოწყვლადობას გაუარესებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, დაძაბულობას და შიშს არა მხოლოდ შესაძლო სამხედრო დაპირისპირებების, არამედ ყველა სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმის თანმდევი, ფასების უკონტროლო ზრდის, მოსახლეობის გაღარიბების ტენდენციის გამო.

რესპონდენტები გაუარესებულ სოციალურ კლიმატს უკავშირებენ დასაქმების პრობლემას. სამუშაო ადგილების სიმწირე, დაბალი ანაზღურება სხვადასხვა სოციალური გაუცხოების საწინდარი ხდება.

მოქალაქეების შეფასებით, გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაციის პარალელურად, ბოლო პერიოდში საგანგაშო მასშტაბები შეიძინა ნარკომანიამ, მარიხუანას მოხმარებამ, რადგან, მათი აზრით, დეკრიმინალიზაციას პარალელურად არ მოყვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო მუშაობა და ე.წ. „პლანის“ ზიანის სათანადო გაცნობიერება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

საგანგაშოდ შეფასდა სატრანსპორტო უსაფრთხოება. ითქვა, რომ საგზაო შემთხვევების დიდი ნაწილი გადაჭარბებული სიჩქარის გამო ხდება. იშვიათი არაა არაფხიზელ მდგომა-

რეობაში მანქანის მართვის შემთხვევები და ზოგადად, ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა არაკეთილსინდისიერ მძღოლებში დაუსჯელობის სინდრომი, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეების ფიზიკურ უსაფრთხოებას.

განსაკუთრებით საგანგაშოდ იქნა მიჩნეული მიგრაციის მასშტაბების ზრდა, რის გამოც ქვეყნიდან გაედინება კვალიფიციური მუშახელიც, ინტელექტუალური რესურსიც. განსაკუთრებული გულისწყვეტა დაფიქსირდა ახალგაზრდების ინტენსიური გადინების გამო.

ბოლო ეკოლოგიურმა კატაკლიზმებმა დამანგრეველი მიწისძვრების სახით, გააჩინა განგაშის ახალი კერა: შიში იმაზე, რამდენად უსაფრთხოა ქალაქში მიმდინარე მშენებლობები, რამდენად ხარისხიანი მასალის გამოყენება ხდება. აუცილებლად იქნა მიჩნეული სურსათის უვნებლობის მონიტორინგის გამკაცრება.

ადამიანური უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ კატეგორიებზე დისკუსიისას ყველგან გამოიკვეთა ოჯახში ძალადობის პრობლემა. მსხვერპლების მიმართ ტოლერატული დამოკიდებულების, მათი დახმარების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის, მოძალადისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების თემა. თვითმმართველობასთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითების ფონზე კიდევ უფრო აქტუალურად გამოჩნდა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის მეტი დიალოგის აუცილებლობა პრიორიტეტების დაგეგმვის, მოწყვლადი ჯგუფების პირველადი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით. მათ შორის შშმ პირების მეტი სოციალური დაცვის, მათი პროფესიული და სამოქალაქო პოტენციალის რეალიზებაში ხელშეწყობის კუთხით.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლენილ საკითხებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები:

- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, დასაქმების პროგრამების ინიცირება ქალების, ახალგაზრდების, შშმ პირების და სხვა სოციალური კატეგორიის ახალგაზრდებისათვის;
- მოქალაქეებისთვის უსაფრთხო სოციალური გარემოს უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მიერ სატრანსპორტო უსაფრთხოების საკითხზე სათანადო უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მონიტორინგის ფუნქციის გაძლიერება, მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით;
- უაღრესად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მიგრაციის მასშტაბების, მისი სოციალური შედეგების შესწავლა, მიგრაციის პრევენციის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება. მიგრანტთა სოციალური რეინტეგრაციის პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მოქალაქეებისთვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მავნე ჩვევების - ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, ლუდომანიის საპირწონე სოციალური ღონისძიებების, საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარების უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეების (სსო, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ.) მონაწილეობით;
- მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის კონტროლის ადგილობრივი ღონისძიებების ხელშეწყობა. შესაბამისი სანქციების გამკაცრება და სათანადო რესურსის გამოყოფა დაინტერესებული მხარეების აუთსორსინგისთვის;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის გაძლიერება და მოქალაქეთა (განსაკუთრებით ქალების, ახალგაზრდების) უფრო აქტიური მოზიდვა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ ეფექტიანი რეალიზაციისთვის;
- სასურველია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, რათა მოქალაქეებს თავიდან ავარიდოთ წყალდიდობების საფრთხე უხვი ნალექების ფონზე;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის იმ თემების მხარდაჭერა, ვისთვისაც ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი წყალმომარაგება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის როლის გააზრება საზოგადოების პოლარიზაციის თავიდან არიდების საკითხში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გარშემო ჯანსაღი დიალოგის და აზრთა გაცვლის სისტემის უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და გამოწვევებზე სასაუბროდ;
- მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა გააძლიეროს მუშაობა შშმ პირების და მათი ოჯახის წევრების სოციალური ინტეგრაციის კუთხით. მათთვის არა მხოლოდ სოციალური დაცვის, არამედ პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზაციის უზრუნველსაყოფად, კეთილგანწყობილი სოციალური გარემოს ხელშეწყობა.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - თეა გოლეთიანი

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდა
ზუგდიდის ქალთა საინიციატივო ჯგუფი

კვლევა მოამზადა ემა კამკიამ

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com

www.fsokhumi.ge
https://sosfsokhumi.ge/

www.facebook.com/fsokhumi/